საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

N 02/1307
18/05/2023

1307-01-2-202305181500

ონლაინ მაღაზია „Miilashopp”-ის
წარმომადგენელ ელშან მახმედოვს (პ/ნ 20001062248)

მისამართი: თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. ყარაჯალა
54–ე II ჩიხი, №6

ტელეფონი: _____

ბატონო ელშან,

გაცნობებთ, რომ „მოქალაქე ნ. ო.-ის განცხადების საფუძველზე საქმის შესწავლის დაწყების თაობაზე“ სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 16 მაისის №04/272 ბრძანების თანახმად, სააგენტომ დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის - ი/მ ელშან მახმედოვის (პ/ნ 20001062248) (Facebook გვერდი: Miilashopp) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე.

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის“ (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს ჰყავდეს წარმომადგენელი; სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე; გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით; მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება; განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომში – პირობითი ვალდებულებები).

გაცნობებთ, რომ კანონის 33-ე მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტების თანახმად, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო უფლებამოსილია განიხილოს კანონის

დ.აღმაშენებლის გამზ. 154, 0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2440 770 (2174/2467)
info@gnca.gov.ge
www.gnca.gov.ge

სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებული პირობითი ვალდებულებები. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს. აღნიშნულ შემთხვევაში, სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

შეგახსენებთ, რომ სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილის №02/96, წერილით, თქვენგან გამოთხოვილ იქნა შემდეგი ინფორმაცია:
1) მომხმარებლისთვის ინფორმაციის მიწოდების წესისა და ფორმის (შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით);
2) ნივთის დაბრუნების/შეცვლის წესისა და პირობების თაობაზე (შესაბამისი დამადასტურებელი მტკიცებულებებით).

იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია დღემდე არ წარმოგიდგენიათ სააგენტოში, გთხოვთ, წინამდებარე წერილის ჩაბარებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, წარმოადგინოთ სააგენტოს 2023 წლის 10 აპრილის №02/96 წერილით მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად.

დამატებით გაცნობებთ, რომ კანონის 29-ე მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად უფლებამოსილია საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიუღებლობის შემთხვევაში, სასამართლოს წარუდგინოს შუამდგომლობა მოვაჭრის მიერ შესაბამისი ინფორმაციის წარდგენის შესახებ.

დანართის სახით გიგზავნით წარმოების მასალებს სრულად.

დანართი: „7“ ფურცელი.

პატივისცემით,

სერგო სანიკიძე

დეპარტამენტის უფროსი
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი